

ანტიკური ლიტერატურა

**ზედსართავი სახელებით გამოხატული მუდმივი ეპითეტები
ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში (ჰომეროსი, აპოლონიოსი,
ვერგილიუსი)**

ნათია არველაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
natia.arveladze@atsu.edu.ge

ეპითეტი ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში წარმოადგენს მხატვრული სახის საიდენტიფიკაციო ძირითად საშუალებას. ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში გამოყენებულ ათასობით ეპითეტს შორის ვხვდებით ზედსართავი სახელებით წარმოდგენილ მუდმივ ეპითეტებს, რომლებსაც მხატვრული სახის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი აქვთ. ამგვარი ეპითეტები, ერთი მხრივ, აყალიბებენ სუბიექტურ დამოკიდებულებას აღსაწერის მიმართ და მეორე მხრივ, განაწყობენ მკითხველს ემოციურად ტექსტში აღწერილი სიტუაციის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: ეპითეტი; მუდმივი; ზედსართავი სახელი; ანტიკური ეპიკური პოეზია.

მუდმივი ეპითეტები ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში წარმოადგენენ ძირითად ფსიქო-ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა საშუალებით მკითხველი ამოიცნობს ეპიკოსის მხატვრული წარმოსახვის ცენტრალური სახის ფსიქო-ემოციურ ბუნებას. ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში მუდმივი ეპითეტები ქმნიან გამომსახველობით და კოლორიტულ მხატვრულ სახეებს და ანიჭებენ მათ დამატებით პოეტურ ნიუანსებს.

მუდმივი ეპითეტები, რიგ შემთხვევებში, გამოხატულია ზედსართავი სახელებით, რომლებიც ასახავენ ობიექტურ რეალობას, ხოლო ეპითეტები, ობიექტურ რეალობასთან ერთად, წარმოადგენენ (აყალიბებენ) სუბიექტურ დამოკიდებულებას მათ მიმართ (Jutharat 2017: 61).

ზედსართავი სახელით გამოხატული მუდმივი ეპითეტი ქმნის პერსონაჟის ხატს, სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებული ხასიათს, რითიც მხატვრული სახე ხდება ყველასგან განსხვავებული, ინდივიდუალური და ერთადერთი (Passakos, Raad 2009: 1). ამავე დროს, ზედსართავი სახელის

ფორმით წარმოდგენილი ეპითეტის არარსებობით, ტექსტის კონცეპტუალური მნიშვნელობა არ იცვლება (Gutzmann 2013: 8).

როდესაც ვიწყებთ ზედსართავი სახელით გამოხატული მუდმივი ეპითეტების ანალიზს ანტიკურ ეპოსში, ცნობიერებაში უპირველესად ფერთა გამომხატველი ეპითეტები წარმოგვიდგება.

ფერთა აღმწერი ეპითეტებიდან საკვლევ მასალაში შავი ფერი დომინირებს: *შავი სისხლი* (ჰომ. ილ. I. 303); *შავი ხომალდი* (ჰომ. ილ. II. 170); *შავი გემი* (ჰომ. ილ. II. 428); *შავი ფრთები* (აპ. როდ. არგ. I. 218); *შავი აქერონტი* (აპ. როდ. არგ. I. 645); *შავი ღრუბელი* (ვერგ. ენ. I. 42-3; ვერგ. ენ. III. 194-97); *შავი ღამე* (ვერგ. ენ. II. 356)...

შავი ფერის დომინანტობის მიზეზად მეცნიერთა ნაწილი ანტიკური საზოგადოების დაბადებისეულ ფერადოვან სიბრმავეს ასახელებს (Bradley 2014: 127), თუმცა, ქართველი მეცნიერის - კონსტანტინე მეგრელიძის ვარაუდით, მოსაზრება ანტიკურ საბერძნეთში მცხოვრები საზოგადოების ფერადოვანი სიბრმავის შესახებ მცდარია (Мегрелидзе 1966: 189).

ვფიქრობთ, რომ ანტიკოსი ავტორები შავი ფერის გამოყენებით, ვიზუალური ეფექტის გარდა, იმ მოსალოდნელ უბედურებაზე მიგვიითიბებენ, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას მოყვება. ამასთანავე, შავი ფერი ახდენს მკითხველის დამაბვას ემოციურად და სიტუაციის შესაბამისად განაწყობს მას.

საკვლევ ავტორებთან გამოყენებულ მუდმივ ეპითეტებს შორის ასევე ვხვდებით სხვადასხვა ფერის სიტყვათშეთანხმებას, რომლებიც ზედსართავი სახელის ფორმით არის წარმოდგენილი. ასეთია, მაგალითად, ჰომეროსის „ილიადაში“ გამოყენებული მუდმივი ეპითეტი *თეთრხელემა*, რომელიც იხმარება ქალღმერთ ჰერას აღსაწერად (ჰომ. ილ. I. 195; ჰომ. ილ. I. 195; ჰომ. ილ. V. 767; ჰომ. ილ. XIV. 277; ჰომ. ილ. XV. 92...).

აპოლონიოსის შემოქმედებაში გამოყენებული ეპითეტები არ არის ნაწარმოები სხეულის ნაწილების გამომხატველი ლექსიკური ერთეულებისგან. ქალღმერთების მიმართ არ ვხვდებით იმგვარ მუდმივ ეპითეტებს, რომლებიც ფერების გამომხატველნი არიან. მხოლოდ ეოსის მიმართ არის აპოლონიოსის პოემაში გამოყენებული ეპითეტი *თეთრი* (აპ. როდ. არგ. I. 1280).

ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის ეპოსში ზედსართავი სახელით გამოხატული მუდმივი ეპითეტების ანალიზის პროცესში, ხშირად ვაწყდებით მეტაფორულ ეპითეტებს, რომლებიც ამა თუ იმ უსულო საგნის კონკრეტული მახასიათებლის ხაზგასმას ემსახურება. ჰომეროსის ეპოსში სიტყვის აღსაწერად გამოყენებულია ეპითეტი *ფრთიანი* (ჰომ. ილ. I. 201; ჰომ. ილ. II. 7; ჰომ. ილ. III. 155; ჰომ. ილ. III. 337; ჰომ. ილ. IV. 69... ჰომ. ილ. I. 122; ჰომ. ილ. II. 269; ჰომ. ილ. IV. 25...).

6. არველაძე

ეპითეტი *ფრთიანი* ჰომეროსის ეპოსში ასევე გამოიყენება ისრის აღსაწერად. რაც მიგვითითებს იმაზე, რომ სიტყვასა და ისარს გააჩნიათ რიგი მსგავსი თვისებებისა. ეს მსგავსება უნდა გამოიხატებოდეს ორმხრივად: 1. სიტყვა, ისევე როგორც ისარი, სწრაფმოქმედია; 2. სიტყვას, ისევე როგორც ისარს, შეიძლება მოჰყვეს ლეტალური შედეგი.

აპოლონიოსის პოემაში „არგონავტიკა“ ისარი ეპითეტის თანხლებით წარმოდგენილია მხოლოდ 6 გამონათქვამში, საიდანაც 3 შემთხვევაში გამოყენებულია ეპითეტები *ფრთიანი* (აპ. როდ. არგ. II. 1039) / *ფრთოსანი* (აპ. როდ. არგ. III. 141) / *მსუბუქფრთიანი* (აპ. როდ. არგ. II. 600).

სიტყვა კი აპოლონიოსის შემოქმედებაში რამდენიმე ეპითეტით არის წარმოდგენილი, მაგრამ მათგან არც ერთი არ არის მისი შეუცვლელი მახასიათებელი, რაც ნიშნავს იმას, რომ სიტყვის მუდმივი ეპითეტი იცვლება სიტუაციის მიხედვით. იგი *გონივრულია* (აპ. როდ. არგ. I. 331; აპ. როდ. არგ. III. 486; აპ. როდ. არგ. IV. 1111); *კეთილი* (აპ. როდ. არგ. I. 479; აპ. როდ. არგ. II. 467; აპ. როდ. არგ. III. 180...) *ან მაცდური* (აპ. როდ. არგ. I. 649; აპ. როდ. არგ. III. 51; აპ. როდ. არგ. III. 904).

ვერგილიუსის შემოქმედებაში, ისევე, როგორც ჰომეროსის და აპოლონიოსის შემოქმედებაში, ისრის აღსაწერად გამოიყენება ზედსართავი სახელით გამოხატული მუდმივი ეპითეტი *ფრთიანი* და მისი სიტყვათშეთანხმება: *ფრთოსანი* (ვერგ. ენ. V. 242) / *ფრთაშესხმული* (ვერგ. ენ. XII. 318) / *სწრაფფრთიანი* (ვერგ. ენ. XII. 415).

ვერგილიუსი სიტყვასთან მიმართებაში იყენებს ზედსართავი სახელით გამოხატულ მუდმივ ეპითეტს *კეთილი* (ვერგ. ენ. I. 197; ვერგ. ენ. I. 217; ვერგ. ენ. V. 816). სიტყვის აღსაწერად ეპითეტი გამოყენებულია მხოლოდ და სწორედ მაშინ, როდესაც სიტყვას კეთილშობილური და დამამშვიდებელი ფუნქცია აკისრია კომუნიკაციაში.

ზღვა ჰომეროსის ეპოსში წარმოდგენილია ზედსართავი სახელით გამოხატული მუდმივი ეპითეტებით *მრავალხმიანი* / *თევზმრავალი* / *უნაყოფო* (ჰომ. ილ. I. 34; ჰომ. ილ. I. 327; ჰომ. ილ. II. 209...).

აპოლონიოსის შემოქმედებაში ზღვა *ჭაღარაა* (აპ. როდ. არგ. I. 1005), რაც უნდა ასოცირდებოდეს მის მრავალწლოვანებასა და მრავლის მხილველობასთან.

როგორც „არგონავტიკაში“, ასევე „ენეიდაში“, ზედსართავი სახელის ფორმით წარმოდგენილი ზღვის აღსაწერად გამოყენებული ეპითეტებიდან ყველაზე ხშირია ეპითეტი *მლაშე* (აპ. როდ. არგ. IV. 929; აპ. როდ. არგ. II. 389... ვერგ. ენ. I. 173; ვერგ. ენ. III. 534...).

ზედსართავი სახელებით წარმოდგენილი მუდმივი ეპითეტები ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში გვხვდება მოკვდავ პერსონაჟებთან მიმართებაშიც და მათი მხატვრული სახის ძირითად მახასიათებლებს დიდწილად განსაზღვრავს.

„ილიადას“ ერთ-ერთი წამყვანი გმირის - ჰექტორის მიმართ ჰომეროსი იყენებს ზედსართავი სახელიტ გამომხატულ მუდმივ ეპითეტს *ზუჭმოელვარე* (ჰომ. ილ. II. 816; ჰომ. ილ. III. 83; ჰომ. ილ. V. 601...). ეპითეტით *მამაცი* დახასიატებულია როგორც ოდისეუსი (ჰომ. ილ. VIII. 92; ჰომ. ოდ. XII. 116...); ასევე დიომედე (ჰომ. ილ. II. 563; ჰომ. ილ. IV. 365).

ეპითეტი *მამაცი* გამოყენებულია აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაშიც. „არგონავტიკაში“ *მამაცია* იასონი (აპ. როდ. არგ. III. 474; აპ. როდ. არგ. I. 349...). ასევე მამაცები არიან არგონავტები, მთელი შემადგენლობით (აპ. როდ. არგ. II. 1192; აპ. როდ. არგ. I. 350; აპ. როდ. არგ. I. 856...). „ენეიდაში“ წარმოდგენილი გმირებიდან ეპითეტით *მამაცი* წარმოდგენილია კვლავ დიომედე (ვერგ. ენ. I. 96-97); *მუდამ მამაცი გმირია* ტურნუსი (ვერგ. ენ. VIII. 538; ვერგ. ენ. IX. 806; ვერგ. ენ. XII. 481).

აპოლონიოსს თავის პოემაში „არგონავტიკა“ შემოაქვს გმირის ღირსეულობის გამომხატველი ახალი ეპითეტი - *ვაჟკაცი*, რითიც აღწერს იგი არგონავტების ამალას (აპ. როდ. არგ. IV. 1031).

ვერგილიუსის პოემაში ასევე ვხვდებით გმირის ღირსეულობის გამომხატველ, ზედსართავი სახელის ფორმით წარმოდგენილ ისეთ მუდმივ ეპითეტს, რომელიც არ შეგვხვდებია ჰომეროსისა და აპოლონიოსის შემოქმედებში: *სახელოვანი*. ეპითეტი გამოიყენება ენეასის მხატვრული სახის გამოსახატად (ვერგ. ენ. VIII. 36-37; ვერგ. ენ. VIII. 367...).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში ზედსართავი სახელებით გამოხატული მუდმივი ეპითეტები წარმოადგენენ ხარისხობრივ-შეფასებით, სენსორულ ზედსართავ სახელებს, რომლებიც არსებითი სახელის მნიშვნელობაში ხაზს უსვამს პროტოტიპულ ელემენტებს.

ზედსართავი სახელიტ გამომხატულ ეპითეტებს შორის ხშირად ვხვდებით ფერების გამომხატველ ეპითეტებს. მათ შორის კი სამივე ეპიკოსის შემოქმედებაში დომინირებს შავი ფერი. ასევე ვხვდებით ფერებისგან ნაწარმოებ სიტყვატშეთანხმებას. ისიც ნათელია, რომ სამივე ავტორთან შავი ფერი და მისი სიტყვატშეთანხმება მიუთითებს მოვლენების ნეგატიურ განვითარებაზე და მკითხველს ემოციურად დაბავს, განაწყობს უარყოფითად. ჰომეროსის ეპოსში გვხვდება ეპითეტები, რომლებიც შეიცავენ სხეულის ნაწილების გამომხატველ მნიშვნელობას, მაგალიტად თვალებს, ხელებს, თითებს და ა.შ. აპოლონიოსისა და ვერგილიუსის ეპოსში მსგავს მუდმივ ეპითეტებს არ ვხვდებით.

სხვადასხვა საგანტა აღსაწერად გამოყენებული ზედსართავი სახელის ფორმით წარმოდგენილი მუდმივი მეტაფორული ეპითეტები გვხვდება სამივე ავტორის შემოქმედებაში. მატგან ზოგიერთი საგანი სამივე ავტორთან

ნ. არველაძე

წარმოდგენილია ერთიდაიმავე ეპითეტით, თუმცა შეინიშნება განსხვავებები გამოყენების არეალის მიხედვით, მათი კონცეპტუალური მნიშვნელობის შესაბამისად.

ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში ვხვდებით ისეთ ზედსართავი სახელის ფორმით წარმოდგენილ მუდმივ ეპითეტებს, რომლებიც ერთიდაიმავე მნიშვნელობის მატარებელი არიან, თუმცა, მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც კონკრეტული ავტორისთვის დამახასიათებელი ეპითეტია.

ლიტერატურა

ვერგილიუსი 1976: ვერგილიუსი. ენეიდა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 1976.

როდოსელი 1975: როდოსელი აპ. არგონავტიკა. თარგმნა აკაკი გელოვანმა. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება. 1975.

ჰომეროსი. ილიადა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2013.

ჰომეროსი. ოდისეა. თარგმნა პ. ბერაძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1979.

Bradley 2014: Bradley M. Colour as Synaesthetic Experience in Antiquity. In: Synaesthesia and Ancient Senses. ed: Butler Sh. Purves A. Durham: Acumen Publishing. 2014.

Gutzmann 2013: Gutzmann D. Expressives and Beyond. In: Beyond Expressives, Explorations in Use-Conditional Meaning, ed. Gutzmann D. Gartner H. Leiden: Brill. 2013.

Juthara 2017: Jutharat J. A Study of Adjective Types and Functions in Popular Science Articles. In: International Journal of Linguistics. Vol. 9. 2. 2017.

Passakos, Raad 2009: Passakos C., Raad B. Ancient Personality: Trait Attributions to Characters on Homer's Iliad. In: Ancient Narrative. Vol. 7. 2009.

Мегрелидзе 1966: Мегрелидзе К. Основные проблемы социологии мышления. Тбилиси: Сабчота Сакартвелло. 1966.